პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 მარტი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 61 (9728) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შვიდი ოქროს მედალი და მსოფლიოს თასი

გოგეჭიშვილმა გაუმგარტნერი დაამარცხა

საბჭოთა კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში გულმოდგინედ ემზადება ოლიმპიური სტარტებისთვის. ამ სამზადისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ტოლიდოში (აშშ) გამართული მსოფლიო თასის გათამაშება. შეჯიბრებამ ერთგვაროვნად გამოკვეთა ნაკრების კონტურები, თუმცა მასში რამდენიმე უძლიერესი საბჭოთა მოჭიდავე არ გამოდიოდა.

ნაკრები ერთ სერიოზულ გამოცდას აპრილში მანჩესტერის ევროპის პირველობაზე გაივლის, საბოლოოდ კი შემადგენლობა საკავშირო ჩემპიონატზე (ივნისი) დაზუსტდება.

ვერცხლის მედალი

ფოტობიბლიოთეკა

რაც შეეხება მსოფლიო თასის გათამაშებას საბჭოთა მოჭიდავეებმა იგი ორი დამარცხებელი გამარჯვებით დაიწყეს. ავსტრალიის ნაკრები მათ 9:1 დაამარცხეს, კუბის გუნდი კი 8:2. ამ შეხვედრებში ორ-ორი ბრძოლა მოიგეს: სერგეი კარამჩაკოვმა (48 კგ, კრასნოიარსკი), ანატოლი ბელოგლაზოვმა (52 კგ, კიევი), რუსლან კარაევმა (57 კგ, მახაჩყალა), აბდულა მაგომედოვმა (68 კგ, კრასნოიარსკი), ალექსანდრე ტამბოვცევმა (82 კგ, ვორონეჟი), მახარბეკ ხადარცევმა (90 კგ, ტაშკენტი), ახმედ ატავოვმა (100 კგ, კრასნოიარსკი), დავით გობეჯიშვილმა (130 კგ, თბილისი).

დაძაბულად წარიმართა ფინალური ბრძოლა საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მოჭიდავეთა შორის. იგი ჩვენმა ათლეტებმა მოიგეს — 6:4 და სპატიო ჯილდო მეთორმეტედ დაისაკუთრეს.

საბჭოთა ნაკრებს გუნდური გამარჯვება მოუტანა დავით გობეჯიშვილის ბოლო მოგებამ ამერიკელ ბრიუს ბაუმგარტნერთან. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გავიდა წინ ჩვენი ნაკრები. მსოფლიო თასზე ტრადიციულად ოქროს მედლებიც თამაშდება პირად ჩათვლაში. უმაღლესი ჯილდო დავით გობეჯიშვილმა (100 კგ, კრასნოიარსკი), დავით გობეჯიშვილმა (130 კგ, თბილისი).

საბჭოთა ნაკრებს გუნდური გამარჯვება მოუტანა დავით გობეჯიშვილის ბოლო მოგებამ ამერიკელ ბრიუს ბაუმგარტნერთან. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გავიდა წინ ჩვენი ნაკრები. მსოფლიო თასზე ტრადიციულად ოქროს მედლებიც თამაშდება პირად ჩათვლაში. უმაღლესი ჯილდო დავით გობეჯიშვილმა (100 კგ, კრასნოიარსკი), დავით გობეჯიშვილმა (130 კგ, თბილისი).

საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიადის წინა შეჯიბრებებში

სან-ანტონიოს პრიზი — ვახტანგ იაგორაშვილს

დიდად პოპულარულია სან-ანტონიოს (აშშ, ტეხასის შტატი) თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. ტურნირის ღირსება ერთიორად გაიზარდა წლევანდელ ოლიმპიურ სეზონში და ამ სპარეზობაზე მსოფლიოს უძლიერესმა ხუთჭიდელებმა მოიყარეს თავი. კერძოდ, აქ იყვნენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, გფრ-ის, შვეიცარიის, შვეციის, კანადის, ავსტრალიის, საფრანგეთის, გვატემალის, პორტუგალიის, ბრაზილიის, სსრ კავშირისა და აშშ-ის გუნდები. მართალია, ასპარეზობას თავი აარიდეს ხუთჭიდელთა „მოდის“ ერთმა კანონმდებლებმა, უნგრელმა სპორტსმენებმა, რომელთაც სეულის წინ არ სურთ თავიანთი „საიდუმლოს“ გამხელა. მაგრამ ამით შეჯიბრების დონე ოდნავადაც არ დაქვეითებულა. აქ იყვნენ თასის შარშანდელი მფლობელი და მსოფლიო ჩემპიონი ფრანგი ჟოელ ბუზუ, ჩეხოსლოვაკიელი მილან კადლეცი, ჯინდუკა ტიბერტი და სხვები.

სურათზე: ასე მოვიდა გამარჯვება სან-ანტონიოს სარბიელზე.

რაც შეეხება საბჭოთა გუნდს, საქმე ის იყო, რომ ასპარეზობაზე მიიწვიეს რუსეთის ფედერაციის, უფრო ზუსტად, მოსკოვის ოლქის ნაკრები — ი. შვარცი, ა. მაკეევი და ა. ავდეევი. მაგრამ ოლიმპიური სეზონის ამ სპასუხისმგებლო შეჯიბრებაში თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილიც გამოსცადეს და მან სავსებით გაამართლა ეს დიდი ნდობა.

თანამედროვე ხუთჭიდის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ჩვენი ქვეყნის უდავოდ ამ ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენს ბოლო საკავშირო ჩემპიონატში არ გაუმართლა და პირველ ათეულშიც კი ვერ მოხვდა.

ამჯერად ვახტანგმა თანაბარი სიძლიერით განვლო ამ ურთულესი ასპარეზობის ხუთივე დღე და დამსახურებულად მოიპოვა სან ანტონიოს თასი. ეს გამარჯვება დიდად განაპირობა პირველ დღეს საცხენოსნო კონკურში მოპოვებულმა 1010 ქულამ. ქულათა მარაგი ქართველმა სპორტსმენმა მომდევნო სახეობებში უფრო გაზარდა: ფარიკაობა — 1048, ცურვა — 1293 და სათავეში ჩაუდგა ასპარეზობას. საბოლოოდ მან 5447 ქულით დაისაკუთრა პრიზი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები ა. ავდეევი — 5406 და ა. მაკეევი — 5382. ამ სამეულმა გაიმარჯვა გუნდურ პირველობაშიც — 15236, მეორე ადგილზეა იტალიის გუნდი — 15532. მათი ლიდერი ტიბერტი პირად პირველობაში მეხუთე იყო. მას წინაა ჩეხოსლოვაკიელი მილან კადლეცი, მეექვსე ადგილზეა ბუზუ. გუნდური მესამე ადგილი ფრანგ ხუთჭიდელებს ხვდათ — 15423.

თამაზ იმნაიშვილი — პირველი

აია-ნაპა (კვიპროსი). აქ ჩატარდა მესტენდურეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 12 ქვეყნის გუნდი ასპარეზობდა. საბჭოთა სპორტის ღირსებას „კვიპროსის დიდი პრიზის“ გათამაშებაში საქართველოს ნაკრები იცავდა.

მრგვალ სტენდზე სროლაში თბილისელმა თ. იმნაიშვილმა ყველა მეტოქე დაჯაბნა და პირველი ადგილი დიდი უპირატესობით მოიპოვა. სასანგრო სტენდზე სროლაში მესამე ადგილი წილად ხვდა ზ. მაჩხანელს.

წარმატებით იასპარეზეს ადგილობრივმა სპორტსმენებმაც. სასანგრო სტენდზე სროლაში, მაგალითად, ყველას აჯობა კვიპროსის მსროლელთა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დ. ლორდოსმა.

მეოთხე შედეგი მრავალჭიდში

ПРИЗ ГАЗЕТЫ МОСКОВСКИЕ НОВОСТИ 1988 СПОРТИВНАЯ ГИМНАСТИКА

„მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე

მოსკოვი. როგორც ვიუწყებოდით ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ პრიზზე მოიგო ვ. არტიომოვმა, რომელმაც მრავალჭიდში 58,90 ქულა დააგროვა. ამ შეჯიბრებაში კარგად იასპარეზა თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემაც. მან მრავალჭიდში მეოთხე ადგილი დაიკავა — 57,90 ქულა და უკან ჩამოიტოვა ჩინელთა დუეტი — ლი ცზინი და ჩეუან ვეი (შესაბამისად 57,15 და 56,90).

მერე გათამაშდა პირველობა ცალკეულ იარაღებზე. აქ ყველაზე დიდ წარმატებას მსოფლიოს ორგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა იური კოროლიოვმა მიაღწია — პირველი ადგილები დაიკავა თავისუფალ ვარჯიშში (19,700 ქულა), რგოლებზე (19,750), ხტომებსა (19,450) და ორძელზე (19,700). არტიომოვს საუკეთესო შედეგები ჰქონდა ტაიჭსა (19,650) და ღერძზე (19,775).

ნოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა „სპორტში საკავშირო კატეგორიის მსაჯის“ წოდება მიანიჭა:

ხელბურთში — იური კოსიაკოვს (თბილისი, განათლების სამინისტრო), **ტყვიის სროლაში** — ვიქტორ აქმიაკოვს (თბილისი, „დინამო“), **ხათხილამურო სპორტში** — ანზორ სანაკოევს (თბილისი, პროფკავშირები), **კალათბურთში** — მანანა მოსულიშვილს (თბილისი, „დინამო“), **მძლეოსნობაში** — ლილი აბულაძეს (თბილისი, პროფკავშირები), **სამთო-სათხილამურო სპორტში** — გრიგოლ ჯიჯოევს (თბილისი, პროფკავშირები), **სამბოში** — ნოდარ ექვთიმიშვილს (თბილისი, პროფკავშირები), **სარაკეტო-სამოდელო სპორტში** — სერგეი ბდოიანს (თბილისი, დოსააფი), **რეგბიში** — ზურაბ რეხვიაშვილს (თბილისი, პროფკავშირები).

კვირა

3

აპრილი

16 გამარჯვებული და პრიზიორი

მოსწავლე ქიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი

შაბათსა და კვირას სპორტის სასახლეში გაიმართა დასკვნითი ბრძოლები ექვს წონით კატეგორიაში. ქართველი ძიუდოს მოყვარულნი კმაყოფილი დარჩნენ შეჯიბრების შედეგებით: ჩვენმა მოჭიდავეებმა ცხრა გათამაშებული ოქროს მედლიდან ხუთის მოპოვება შეძლეს. ეს წარმატება გვაფიქრებინებს, რომ დღეს რესპუბლიკაში საკმაოდ ბევრი ნიჭიერი მოჭიდავეა, რომლებიც, იშედია, მომავალშიც გაამოჩენენ თავს როგორც საკავშირო, ასევე მსოფლიო ასპარეზზე.

ახლა გაგაცნობთ ბოლო ორი დღის შეხვედრების პერიპეტიებს.

62 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის 10 სპორტსმენიდან ფინალში გავიდა ბესიკ გეორგაშვილი, რომელიც ქულებით დამარცხდა სერგეი გორლოვთან (რსფსრ). გორლოვი ნახევარფინალში შეხვდა ზურაბ სამუკაშვილს. ზურაბი სოლიდური უპირატესობით იყო წინ, მაგრამ ორთაბრძოლის დამთავრებამდე 11 წამით ადრე გორლოვმა მოულოდნელი გდებით გაიმარჯვა ხელიდან გამოსტაცა მეტოქეს. ამ წონაში III საპრიზო ადგილები დაიკავეს საქართ-

იხ. მე-4 გვ.



ტრადიციულად აპრილის პირველ კვირა დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება ჯანმრთელობის დღესასწაული. მახობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობას თითქმის მთელი მოსახლეობა ჯანმრთელობისათვის საყოველთაო სახალხო ლაშქრობა წელს უფრო საინტერესოდ და მრავალფეროვნად უნდა ჩატარდეს.

ადგილობრივი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები თავად ადგენენ დღესასწაულის პროგრამას იმის გათვალისწინებით, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის.

ამ ღონისძიების ჩატარების შესახებ ზემდგომი ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციებიდან ცალკე მითითება არ იქნება.

სსრ კავშირის ჩემპიონატი აკრობატიკაში

ვინც შრომობს, უფასდება კიდეც...

ნაკრებში — მწვრთნელიანად

სულ ახლახან თბილისის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულ კომპლექსში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობასა და ჩემპიონატში თბილისელმა აკრობატებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ამიტომ აღარ გაგვკვირვებია, რომ მათ საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებისა და უწყებების ჩემპიონატშიც ისახელეს თავი. ქალაქ ნიკოლაევის სპორტული სკოლის დარბაზში, სადაც ეს შეჯიბრება ჩატარდა, ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა აკრობატებმა მოიყარეს თავი (საქართველოს სპორტსმენები საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სახელს იცავდნენ). უშეღავათო ბრძოლა გაიმართა ვაჟთა ჯგუფურ შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდა მწვრთნელ ალექსანდრე მავრანგელოვის მიერ მომზადებული ოთხეული — ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი და ნიკოლოზ მჭედლიძე. აქ ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი, სულ მცირე, ექვს ოთხეულს ჰქონდა. ორი ნებისმიერი ვარჯიშის შემდეგ ჩვენი აკრობატები დაწინაურდნენ. მათ კვალში ჩაუდგნენ კრასნოდარელი მსრფლიო ჩემპიონები — ვიქტორ კურალესოვი, ვლადიმერ სიმონოვი, ვიქტორ ბისტროვი და ყაფიზ იზმაილოვი (ჩვენები მსოფლიო ჩემპიონებს 3 მეასედი ქულით უგებდნენ), მეორე დღეს მცირე მედლები გათამაშდა ცალკეულ ვარჯიშებში. აბუაშვილის ოთხეულმა კვლავ წარმატებით იასპარეზა და გაიმარჯვა. საღამოს, ფინალური ასპარეზობისას, მეორე ვარჯიშში ჩვენს აკრობატებს სერიოზული შეცდომა მოუვიდათ და ორი დღის შედეგებით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს. ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა მესამე კომბინირებულ ვარჯიშს (პირველი და მეორე — ვარჯიშის კომბინაცია). თბილისელებმა ეს კომბინაცია თითქმის უნაკლოდ შეასრულეს და 9,16 ქულა დაიმსახურეს, მესამე ადგილზე მყოფ ტოლიატელთა ოთხეულს ორი უხეში შეცდომა მოუვიდა და თავისი ადგილი თბილისელებს დაუთმო. ასევე ვერ გაართვეს თავი პროგრამას მეორე ადგილზე მყოფმა უკრაინის აკრობატებმა და ჩვენებმა კვლავ ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლეს. მსოფლიო ჩემპიონებმა კი გადაწყვიტეს ზედმეტი რისკი არ გაეწიათ. ისინი შედარებით გამარტივებული პროგრამით გამოდიოდნენ, ვარჯიში უნაკლოდ შეასრულეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა ტიტული მოიპოვეს. ვერცხლის მედლები ჩვენს აკრობატებს ხვდათ.



ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა, სვეტლანა მაკარიჩევა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ მხოლოდ ორი მეათედი ქულით გაუსწრეს რიგის ქალთა სამეულს (9,8, 9,8). ჩვენმა გოგონებმა პირველი ფინალური ვარჯიში კვლავ უნაკლოდ შეასრულეს — 9,83 ქულა. მათ ისევ ზუსტად ერთი მეათედი ქულით ჩამორჩნენ რიგელები — 9,73. თბილისელებმა მცირე ოქროს მედლები მოიპოვეს. ფინალის მეორე ვარჯიშში ოდნავი უზუსტობა დაუშვა ნატალია ანისიმოვამ. მან ერთი ზედმეტი ნაბიჯი გადადგა, რისთვისაც სამეული სამი მეათედი ქულით დაისაჯა. ამჯერად ჩვენს სპორტსმენებს რიგელებმა ერთი მეათედი ქულით გაუსწრეს. ამ ვარჯიშში ორივე სამეულს ორი დღის ჯამში ერთნაირი ქულები აღმოაჩნდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ბალტიისპირელებმა ფინალურ შეჯიბრებაში უფრო მაღალ შედეგს მიაღწიეს, მცირე ოქროს მედლები ამჯერად მათ გადაეცათ, ხოლო თბილისელებს ვერცხლის ჯილდოები ხვდათ.

შეჯიბრების ბოლო დღეს, როგორც ჩანს, ჩვენი გოგონების უშუალო მეტოქეებს ფსიქოლოგიური მომზადება აღარ ეყოთ, დაძაბულობას ვეღარ გაუძლეს, რამდენიმე შეცდომა მოუვიდათ და 9,46 ქულით დაამთავრეს ასპარეზობა. ვლადიმერ გურგენიძის აღზრდილებმა თამამად გაიარეს ბეწვის ხიდზე, დასკვნითი ვარჯიშის შემდეგ ორი მეათედი ქულით გაუსწრეს რიგელებს და მეორედ მოიპოვეს ჩემპიონობა.

საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის დირექტორს მიხეილ გეგელიას.

— დავიწყებ იმით, რომ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გაფართოებულმა მწვრთნელთა საბჭომ ჩვენი სამეული და ოთხეული ერთხმად შეიყვანა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. ამავე ნაკრებში ჯგუფურად მოვარჯიშე ქალთა უფროს მწვრთნელად დაინიშნა ვლადიმერ გურგენიძე. ახლა კი ზოგიერთ ხარვეზზე გავამახვილებ ყურადღებას. ამ ჩემპიონატმა ჩვენი აკრობატი ვაჟების ზოგიერთი ნაკლი გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ რთული ელემენტებისაგან შემდგარ ვარჯიშებს საკმაოდ დახვეწილად ასრულებენ, კომპოზიციითა და მოძრაობის სილამაზით ისინი ჯერჯერობით ჩამორჩებიან მსოფლიო ჩემპიონებს. თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეტოქეები ჩვენებზე უფროსები არიან. ვლადიმერ კურალესოვი, მაგალითად, 35 წლისაა, ჩვენი ოთხეულის ყველაზე „ასაკოვან“ ემზარ აბუაშვილს კი მხოლოდ 21 წელი შეუსრულდა. დღესდღეობით ჩვენი მიზანია, რომ ოთხეულის ვარჯიშების ქორეოგრაფიული მხარე გავაუმჯობესოთ. ამ მიზნით მათთან იმუშავებს ვლადიმერ გურგენიძის მეუღლე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ქორეოგრაფი ლალი თავართქილაძე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონებს, მათი პროგრამა დიდ მოწონებას იმსახურებს, მაგრამ რეპერტუარი მომავალში მაინც გამდიდრდება ახალი ელემენტებით.

ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი, ნიკოლოზ მჭედლიძე.

⊙ მომავალში რა შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი აკრობატები?

— სეზონის ყველაზე დიდი შეჯიბრება — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი — ბელგიაში გაიმართება წლის ბოლოს. გვინდა თბილისელმა აკრობატებმა მონაწილეობა მიიღონ ამ შეჯიბრებაში. მანამდე კი, სექტემბერში, კრასნოიარსკში ჩატარდება საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება. ძირითადად ამ ორი შეჯიბრების შედეგებით გადაწყდება, ვინ გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე.

ჯემალ ქასრაძე.

სპორტი ყველასათვის

შესანიშნავი შედეგი

რესპუბლიკის უსინათლოთა საზოგადოების კლუბებში დამთავრდა რესპუბლიკური ჩემპიონატი უსინათლოთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 მოჭადრაკე, აქედან 5 ოსტატობის კანდიდატი, დანარჩენი პირველთანრიგოსნები.

მონაწილეთა შორის თამაშობდა ერთი ქალი — ოსტატობის კანდიდატი ქეთევან გაჩეჩილაძე, რომელმაც 12,5 ქულით III ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება I ადგილისთვის ბრძოლას, იგი მეტად საინტერესო გამოდგა. თითოეულმა მონაწილემ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა. რთულ და დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდა ოსტატობის კანდიდატს ავთანდილ ქაჩლიშვილს. მან ძლიერად ჩაატარა მთელი ტურნირი და შესანიშნავი შედეგით, 14 ქულით დამსახურებულად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი.

II ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი პეტრე კუჩეროვი, რომელიც გამარჯვებულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა.

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომელიც მაისში მონაწილეობას მიიღებს უსინათლო მოჭადრაკეთა ამიერკავკასიის პირველობაზე. ეს შეჯიბრება ერევანში გაიმართება.

ვასილ დიმიტრაძე.

წერილი ცხინვალიდან

სურვილი არის, პირობები — არა!

იქნებ ვინმემ გაიკვირვოს კიდეც როგორ სულ ბაზების უქონლობაზე წუწუნებენ ცხინვალელებიო... მაგრამ როგორ არ იწუწუნებს, როცა ისეთ მაღალმთიან ზონაში, როგორიც სამხრეთ ოსეთის ოლქია, რომლის ყველა რაიონი, გარდა ქალაქ ცხინვალისა, უშუალოდ კავკასიონის ხერხემლის თხემებზეა განლაგებული და უხვთოვლობით გამორჩევა, არც ერთი ზამთრის სპორტული ბაზა არ არსებობს: არსად არ არის ზამთრის სპორტისთვის აუცილებელი ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები, მაღაზიებში იშვიათად თუ წაწყდები ნორმალურ თხილამურს, მისთვის აუცილებელ სამაგრებს, ფეხსაცმელს და ჯოხებს ან ციგურებს...

ამ ბოლო წლებში კი ზამთარმა ცოტა გაგვათამამა უხვთოვლობით და ქალაქშიც კი გვქონდა საშუალება მოგვეწყო სხვადასხვა სახის შეჯიბრებები. განსაკუთრებით შუხნარის გორაზე იყო ხოლმე ხალხმრავლობა. დასვენების დღეებში აქ უამრავი ხალხი იყრიდა თავს — ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, სტუდენტები, მოსწავლეებიც... სამწუხაროდ, აქაც იგრძნობოდა სპორტული ინვენტარის გასაჭირი. გულდაწყვეტილი ბავშვები შორიდან შესცქეროდნენ თითზე ჩამოსათვლელ თხილამურიან თანატოლებს. თუმცა, ალბათ, ვერც წარნი დაიკვეხნიდნენ დიდად ვისიამოვნეთო, რადგან ინვენტარი უვარგისია.

სათხილამურო სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენში. მოთხილამურეებს დ. ქარქუსოვს, ჩ. სანაკოევს, იური და გურამ სანაკოევებს, კ. კიკნაძეს, რ. ხეთაგუროვს, ა. არბოლიშვილს არაერთგზის დაუცავთ ოლქის სახელი რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის ჩვენს ოლქში შესანიშნავი პირობები არსებობს. ჯავის რაიონში — მდინარე პატარა ლიახვის ხეობაში, სადაც მთელი ზამთრის განმავლობაში უცვლელად დევს თოვლის სქელი საფარი, არის შესანიშნავი რელიეფური პირობები სწრაფდაშვების, სლალომისა და ტრამპლინიდან ხტომისათვის. აქ არსებულ დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებსა და ახალგაზრდულ ბანაკებს, რომლებიც ზამთრის პერიოდში უქმად დგანან, შეუძლიათ უმასპინძლონ როგორც სპორტსმენებსა და სპორტის მოყვარულებს, ასევე დასვენების მსურველებსაც. ყოველივე ამას კი საკითხის სერიოზულად დასმა და გადაწყვეტა სჭირდება, მით უფრო, რომ ფაქტიურად უკვე ჩადგა მწყობრში ამ ხეობაზე გამავალი ტრანსკავკასიის მაგისტრალი და ეს ადგილები უკვე უველასთვის ადვილადმისადგომი და ხელმისაწვდომი გახდა. აუცილებელია, აგრეთვე, ქალაქ ცხინვალში და დაბა ჯავაში ზამთრის სპორტისთვის საჭირო ინვენტარის გამქირავებელი პუნქტების შექმნა, რათა მსურველებს საშუალება ჰქონდეთ დასვენების დღეებში ისიამოვნონ ჩვენებური ზამთრის მადლით.

ლეილა სუბელიანი.
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).
ცხინვალი.

მსახიობი და სპორტი

როდესაც ანატოლი ლუნაჩარსკის გამოჩენილი გერმანელი მსახიობი სანდრო მოისი ნახა მფრინავის როლში, აღფრთოვანებულმა ასე მიმართა მას: „თქვენს მიერ ტრაპეციაზე შესრულებული განსაცვიფრებელი ნომრები გმირის დახასიათებისთვის გჭირდებათ. აშკარად ჩანს ჩინებული ნიშნები ადამიანისა, რომელიც მარჯვე, მოქნილი, ფიზიკურად ჯანსაღი, მაგრამ, იმავე დროს, სულიერად ილჯგაწყვეტილია. მართლა, ძალიან არ იღლებით ამ როლში? რამდენი წლისა ხართ, სანდრო?“

მოისი მაშინ უკვე 51 წლისა იყო, მაგრამ ახალგაზრდულად მოქნილი ტანი ჰქონდა.

ვკითხულობთ ა. ლუნაჩარსკის აღფრთოვანებულ სიტყვებს სანდრო მოისის მიმართ და გვაგონდება სტრიქონები მარკ ლევინის წიგნისა — „სერგო ზაქარიაძე“: „როდესაც იური ოლეშას „სამ ბღენძში“ ცირკის მსახიობ ტიბულის თამაშობდა, ზაქარიაძე თავზე ახტებოდა რამდენიმე კაცს და სალტოსაც აკეთებდა. ერთხელ კარგად ვერ მოზომა, ქვის იატაკზე თავით დაეცა, მაგრამ საავადმყოფოდან გამოეწერა თუ არა, ისევ განაგრძო თავისი აკრობატული ნომრის შესრულება ამ სპექტაკლში“.

ბატონ სერგოს მოსწონდა ტიბულის როლი, რადგან იგი თავად საკმაოდ კარგი სპორტსმენი გახლდათ და ერთხანს ცენტრალურ დამცველად თამაშობდა არა მარტო ზესტაფონის გუნდში, არამედ თბილისის „დინამოშიც“. შოთა შავგულიძე, თბილისის „დინამოს“ სახელგანთქმული მცველი და კაპიტანი, გულმოსული უსაყვედურებდა ხოლმე სერგოს, თეატრის გულისთვის ფეხბურთს თავი როგორ დაანებეო.

ბატონ სერგოს ცურვა ემარჯვებოდა და მაინც ხუთი თვის მანძილზე მოთმინებით ივარჯიშა ცურვაში, რათა სრულყოფილად განესახიერებინა თავისი გმირი ფილმში — „ზღვის ბილიკი“. ამ ფილმის გადაღებისას აშკარად დადასტურდა მისი ფიზიკურად ნაწრთობი სხეულის ამტანობა. ფილმის ბოლო კადრები შუა ზამთარშია გადაღებული. მოცურავეთა დიდ ჯგუფში ბაქარიაძე ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც საათობით ძლებდა ცივ წყალში. მოხუცი მეზღვაურის დაღუპვის სცენა ზღვის სილრმეშია გადაღებული, მზის ჩასვლისას. სერგო ნაპირიდან კარგა მოშორებით გაჰყავდათ და იქ მარტო ტოვებდნენ (გადაღება ვერტმფრენიდან ხდებოდა). შემაზრზენი იყოო — თვითონაც უთქვამს მერე, მაგრამ ვის შეეძლო მისი შეცვლა, თუკი ჯგუფური გადაღების დროს, სწორედ იგი ამხნევებდა გათოშილ პარტნიორებს სახუმარო შეძახილებით, იმედის მომცემი ღიმილითა და თავისი ტემპერამენტიანი უშუალობით.

მარჯვე მოცურავე ყოფილა გიორგი შავგულიძეც. იგი სიყმაწვილიდანვე ისე გაწაფულა მდინარესთან ჭიდილში, რომ მხილველთა აღტაცებას იწვევდა. „თანატოლები იგონებენ, რომ ულმაზესად ხტებოდა მდინარეში ბატონი გიორგი. გასროლილ ისარს ჰგავდა თურმე მისი სპარტანული და ნაწრთობი სხეული. მზეზე ხორბლისფრად აელვარებული, მოქნილი და პლასტიკური, თითქოს ცეკვავდაო ჰაერში, ისე ეშვებოდა მდინარეში“, — ვკითხულობთ კირა კეციძის წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია მსახიობის მეუღლის — ლიზა ვაჩნაძის მიერ შედგენილ წიგნში „გიორგი შავგულიძე“.

ქართველი მსახიობები არასოდეს არ იყვნენ გულგრილნი სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიმართ და საკუთარ ძალებს შეჯიბრებებში სინჯავდნენ. სპორტის არც ერთი სახეობის ასპარეზობა მათი უყურადღების გარეშე არ რჩებოდა. არა რჩებოდა და არც ახლა რჩება. ამის უამრავი მაგალითია ქართველ ხელოვანთა დიდ ოჯახში. ამჯერად მხოლოდ გაკვრით, ორიოდ სიტყვით გავიხსენოთ თეატრალური სამყაროს რამდენიმე წარმომადგენლის კავშირი სპორტულ სამყაროსთან. მადლიერებით ვიგონებთ რა მათ ღვაწლს, მათ ბრწყინვალე შემოქმედებით გამარჯვებებს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გარკვეულ წილად, უთუოდ სპორტთან შეგობრობამაც შეუწყო ხელი მათი ბუნებით უხვად მომადლებული ნიჭის სრულყოფილად წარმოჩენას.

ზეინაბ ბოშაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის მატჩები.

27 მარტს საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მატჩი კიევში, სადაც 100-ათასიან სტადიონზე შედგა ადგილობრივი „დინამოს“ შეხვედრა სსრ კავშირის მარშანდელ ჩემპიონთან მოსკოვის „სპარტაკთან“. უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდათ სპარტაკელებს — 2:1. ასევე საინტერესო იყო გათამაშების ლიდერის მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“. გაიმარჯვა ლიდერმა — 1:0.

დანარჩენი მატჩები:

„ქაირათი“ — „შახტიორი“ 0:1
„შალგირისი“ — „ნეფთჩი“ 2:0
„ზენიტი“ — „არარატი“ 2:1
„მეტალისტი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1

თბილისის დინამოელებმა გუშინ მოსკოვში, დახურულ დარბაზში ითამაშეს მოსკოვის „ლოკომოტივთან“. თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

მინსკისა და მოსკოვის დინამოელთა მატჩი, რომელიც აგრეთვე გუშინ შედგა, დამთავრდა ფრედ — 0:0.

საკავშირო ჩემპიონატში ახლა 9 აპრილამდე შესვენებაა. სსრ კავშირის პირველი ნაკრები 31 მარტიდან 2 აპრილამდე საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც დასავლეთ ბერლინში გაიმართება. ჩვენს გარდა ტურნირში გამოვლენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეციისა და არგენტინის ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები 6 აპრილს სიმფეროპოლში მიიღებს თურქეთის გუნდს. ეს არის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი.

საქართველოს პირველობა

26 და 27 მარტს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის II ტურის მატჩები ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. გთავაზობთ ტურის შედეგებს: „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „მადრევანი“ (წყალტუბო) 0:0, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (გაგრა) 2:0, „სამგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სქური“ (წალენჯიხა) 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „ამირანი“ (ოზამჩირე) 2:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სულორი“ (ვანი) 1:1.

გ. ანთაძის თასზე

ბათუმი გრძელდება სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ანთაძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. გაიმართა II ტურის შეხვედრები. საქართველოს ნაკრები „იმედი“ (1971 წ.) — უზბეკეთის ნაკრები 4:0, საქართველოს ნაკრები (1972 წ.) — სომხეთის ნაკრები 1:0, 35-ე სკოლა (თბ.) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0.

3 ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ საქართველოს ნაკრები გუნდები. შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

კვლავ ო. ბლოხინის შესახებ

ამას წინათ „ლელოში“ ორჯერ გამოვაქვეყნეთ ცნობა ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელის, კიევის „დინამოს“ თავდამსხმელის ოლეგ ბლოხინის შესახებ. ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, გამოვა თუ არა ეს ფეხბურთელი ავსტრიის „ფორვერტსის“ შემადგენლობაში.

როგორც ცნობილი გახდა, ო. ბლოხინი უკვე გადავიდა ავსტრიის ქალაქ შტაინის „ფორვერტსში“.

ფეხბურთი

I ლიგის საკავშირო პირველობა

გათამაშების კალენდარი

პირველი წრე

4 აპრილი, ოთხშაბათი
„პამირი“ (დუშანბე) — „როტორი“ (ვოლგოგრადი). II ტურის მატჩი.

I ტური
7 აპრილი, ხუთშაბათი
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (სტავროპოლი)
„როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)
„დინამო“ (ბათუმი) — „კუზბასი“ (კემეროვო)
„გურია“ (ლანჩხუთი) — ცსკა
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ზვეზდა“ (პერმი)
„კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)
„პამირი“ (დუშანბე) — ასკ (დონის როსტოვი)
„კოტაიკი“ (აბოვიანი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი)
„ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დაუგავა“ (რიგა)

II ტური
10 აპრილი, კვირა
„ზარია“ — „სპარტაკი“
„როსტსელმაში“ — „დინამო“ სტ.
„დინამო“ ბ. — ცსკა
„გურია“ — „კუზბასი“
„მეტალურგი“ — „გეოლოგი“
„კოლოსი“ — „ზვეზდა“
„ფახთაქორი“ — ასკ რ.
„კოტაიკი“ — „დაუგავა“
„ყუბანი“ — ასკ „კარპატი“
„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი).

12 აპრილი, სამშაბათი
სსრ კავშირის 1987-88 წლების თასი, მეოთხედფინალი. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „როტორი“.

III ტური
16 აპრილი, შაბათი
„როტორი“ — „ყუბანი“
ასკ რ. — „კოტაიკი“
„ზვეზდა“ — „ფახთაქორი“
„გეოლოგი“ — „პამირი“
ცსკა — „მეტალურგი“
„კუზბასი“ — „კოლოსი“
„დინამო“ სტ. — „დინამო“ ბ.
„სპარტაკი“ — „გურია“
„შინიკი“ — „ზარია“
„ტავრია“ — „როსტსელმაში“
ასკ „კარპატი“ — „დაუგავა“

IV ტური
19 აპრილი, სამშაბათი
„როტორი“ — „კოტაიკი“
ასკ რ. — „ყუბანი“
„ზვეზდა“ — „პამირი“
„გეოლოგი“ — „ფახთაქორი“
ცსკა — „კოლოსი“
„კუზბასი“ — „მეტალურგი“
„დინამო“ სტ. — „გურია“
„სპარტაკი“ — „დინამო“ ბ.
„შინიკი“ — „როსტსელმაში“
„ტავრია“ — „ზარია“

V ტური
25 აპრილი, ორშაბათი
„დაუგავა“ — „როტორი“
ასკ „კარპატი“ — ასკ რ.
„დინამო“ ბ. — „შინიკი“
„გურია“ — „ტავრია“
„მეტალურგი“ — „დინამო“ სტ.
„კოლოსი“ — „სპარტაკი“
„ფახთაქორი“ — ცსკა
„პამირი“ — „კუზბასი“
„კოტაიკი“ — „ზვეზდა“
„ყუბანი“ — „გეოლოგი“
„როსტსელმაში“ — „ზარია“

VI ტური
28 აპრილი, ხუთშაბათი
„დაუგავა“ — ასკ რ.
ასკ „კარპატი“ — „როტორი“
„დინამო“ ბ. — „ტავრია“
„გურია“ — „შინიკი“
„მეტალურგი“ — „სპარტაკი“
„კოლოსი“ — „დინამო“ სტ.
„ფახთაქორი“ — „კუზბასი“
„პამირი“ — ცსკა
„კოტაიკი“ — „გეოლოგი“
„ყუბანი“ — „ზვეზდა“

2 მაისი, ორშაბათი
სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის გათამაშება, სამოცდამეოთხედფინალის მატჩები საქართველოს გუნდებისთვის.
„შევარდენი“ (თბილისი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)
„კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)
„რუბინი“ (ყაზანი) — „გურია“ (ლანჩხუთი)
„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (სოხუმი)
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (ბათუმი)
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)

VII ტური
6 მაისი, პარასკევი
„ზვეზდა“ — „დაუგავა“
„გეოლოგი“ — ასკ „კარპატი“
ცსკა — „კოტაიკი“
„კუზბასი“ — „ყუბანი“
„დინამო“ სტ. — „ფახთაქორი“
„სპარტაკი“ — „პამირი“
„შინიკი“ — „კოლოსი“
„ტავრია“ — „მეტალურგი“
„ზარია“ — „დინამო“ ბ.
„როსტსელმაში“ — „გურია“

VIII ტური
8 მაისი, კვირა
ასკ რ. — „როტორი“

9 მაისი, ორშაბათი
„ზვეზდა“ — ასკ „კარპატი“
„გეოლოგი“ — „დაუგავა“
ცსკა — „ყუბანი“
„კუზბასი“ — „კოტაიკი“
„დინამო“ სტ. — „პამირი“
„სპარტაკი“ — „ფახთაქორი“
„შინიკი“ — „მეტალურგი“
„ტავრია“ — „კოლოსი“
„ზარია“ — „გურია“
„როსტსელმაში“ — „დინამო“ ბ.

IX ტური
15 მაისი, კვირა
„დაუგავა“ — „კუზბასი“
ასკ „კარპატი“ — ცსკა
„როტორი“ — „ზვეზდა“
ასკ რ. — „გეოლოგი“
„მეტალურგი“ — „ზარია“
„კოლოსი“ — „როსტსელმაში“
„ფახთაქორი“ — „შინიკი“
„პამირი“ — „ტავრია“
„კოტაიკი“ — „დინამო“ სტ.
„ყუბანი“ — „სპარტაკი“
„გურია“ — „დინამო“ ბ.

X ტური
18 მაისი, ოთხშაბათი
„დაუგავა“ — ცსკა
ასკ „კარპატი“ — „კუზბასი“
„როტორი“ — „გეოლოგი“
ასკ რ. — „ზვეზდა“
„მეტალურგი“ — „როსტსელმაში“
„კოლოსი“ — „ზარია“
„ფახთაქორი“ — „ტავრია“
„პამირი“ — „შინიკი“
„კოტაიკი“ — „სპარტაკი“
„ყუბანი“ — „დინამო“ სტ.

სსრ კავშირის 1987-88 წლების თასის გათამაშების ნახევარფინალი. თუ ვოლგოგრადის „როტორი“ თასის ამ ეტაპზე გავიდა, მისი შეხვედრა ტურნირის „გეოლოგთან“ შედგება 12 მაისს.

22 მაისი, კვირა
სსრ კავშირის თასის 1988-89 წლების ოცდამეთორმეტედფინალის მატჩები.

XI ტური
26 მაისი, ხუთშაბათი
ცსკა — „როტორი“
„კუზბასი“ — ასკ რ.
„დინამო“ სტ. — „დაუგავა“
„სპარტაკი“ — ასკ „კარპატი“
„შინიკი“ — „ყუბანი“
„ტავრია“ — „კოტაიკი“
„ზარია“ — „ფახთაქორი“
„როსტსელმაში“ — „პამირი“
„დინამო“ ბ. — „კოლოსი“
„გურია“ — „მეტალურგი“

XII ტური
29 მაისი, კვირა
„კუზბასი“ — „როტორი“
„დინამო“ სტ. — ასკ „კარპატი“
„სპარტაკი“ — „დაუგავა“
„შინიკი“ — „კოტაიკი“
„ტავრია“ — „ყუბანი“
„ზარია“ — „პამირი“
„როსტსელმაში“ — „ფახთაქორი“
„დინამო“ ბ. — „მეტალურგი“
„გურია“ — „კოლოსი“
„ზვეზდა“ — „გეოლოგი“

30 მაისი, ორშაბათი
ცსკა — ასკ რ.

4-5 ივნისი, შაბათ-კვირა
სსრ კავშირის 1988-89 წლების გათამაშების მეთექვსმეტედფინალის მატჩები.

XIII ტური
8 ივნისი, ოთხშაბათი
„დაუგავა“ — „ტავრია“
ასკ „კარპატი“ — „შინიკი“
„როტორი“ — „დინამო“ სტ.
ასკ რ. — „სპარტაკი“
„ზვეზდა“ — ცსკა
„გეოლოგი“ — „კუზბასი“
„ფახთაქორი“ — „დინამო“ ბ.
„პამირი“ — „გურია“
„კოტაიკი“ — „როსტსელმაში“
„ყუბანი“ — „ზარია“

XIV ტური
11 ივნისი, შაბათი
„დაუგავა“ — „შინიკი“
ასკ „კარპატი“ — „ტავრია“
„როტორი“ — „სპარტაკი“
ასკ რ. — „დინამო“ სტ.
„ზვეზდა“ — „კუზბასი“
„გეოლოგი“ — ცსკა
„ფახთაქორი“ — „გურია“
„პამირი“ — „დინამო“ ბ.
„კოტაიკი“ — „ზარია“
„ყუბანი“ — „როსტსელმაში“
„კოლოსი“ — „მეტალურგი“

XV ტური
16 ივნისი, ხუთშაბათი
„დინამო“ სტ. — „ზვეზდა“
„სპარტაკი“ — „გეოლოგი“
„შინიკი“ — ასკ რ.
„ტავრია“ — „როტორი“
„ზარია“ — „დაუგავა“
„როსტსელმაში“ — ასკ „კარპატი“
„დინამო“ ბ. — „ყუბანი“
„გურია“ — „კოტაიკი“
„მეტალურგი“ — „ფახთაქორი“
„კოლოსი“ — „პამირი“
„კუზბასი“ — ცსკა

XVI ტური
19 ივნისი, კვირა
„დინამო“ სტ. — „გეოლოგი“
„სპარტაკი“ — „ზვეზდა“
„შინიკი“ — „როტორი“
„ტავრია“ — ასკ რ.
„ზარია“ — ასკ „კარპატი“
„როსტსელმაში“ — „დაუგავა“
„დინამო“ ბ. — „კოტაიკი“
„გურია“ — „ყუბანი“
„მეტალურგი“ — „პამირი“
„კოლოსი“ — „ფახთაქორი“

XVII ტური
24 ივნისი, პარასკევი
„დაუგავა“ — „დინამო“ ბ.
ასკ „კარპატი“ — „გურია“
„როტორი“ — „ზარია“
ასკ რ. — „როსტსელმაში“
„ზვეზდა“ — „შინიკი“
„გეოლოგი“ — „ტავრია“
ცსკა — „დინამო“ სტ.
„კუზბასი“ — „სპარტაკი“
„კოტაიკი“ — „კოლოსი“
„ყუბანი“ — „მეტალურგი“

XVIII ტური
27 ივნისი, ორშაბათი
„დაუგავა“ — „გურია“
ასკ „კარპატი“ — „დინამო“ ბ.
„როტორი“ — „როსტსელმაში“
ასკ რ. — „ზარია“
„ზვეზდა“ — „ტავრია“
„გეოლოგი“ — „შინიკი“
ცსკა — „სპარტაკი“
„კუზბასი“ — „დინამო“ სტ.
„კოტაიკი“ — „მეტალურგი“
„ყუბანი“ — „კოლოსი“
„პამირი“ — „ფახთაქორი“

XIX ტური
4 ივლისი, ორშაბათი
„შინიკი“ — ცსკა
„ტავრია“ — „კუზბასი“
„ზარია“ — „ზვეზდა“
„როსტსელმაში“ — „გეოლოგი“
„დინამო“ ბ. — „როტორი“
„გურია“ — ასკ რ.
„მეტალურგი“ — „დაუგავა“
„კოლოსი“ — ასკ „კარპატი“
„ფახთაქორი“ — „კოტაიკი“
„პამირი“ — „ყუბანი“

XX ტური
7 ივლისი, ხუთშაბათი
„შინიკი“ — „კუზბასი“
„ტავრია“ — ცსკა
„ზარია“ — „გეოლოგი“
„როსტსელმაში“ — „ზვეზდა“
„დინამო“ ბ. — ასკ რ.
„გურია“ — „როტორი“
„მეტალურგი“ — ასკ „კარპატი“
„კოლოსი“ — „ფახთაქორი“
„პამირი“ — „კოტაიკი“
„სპარტაკი“ — „დინამო“ სტ.

XXI ტური
13 ივლისი, ოთხშაბათი
„დაუგავა“ — „ფახთაქორი“
ასკ „კარპატი“ — „პამირი“
„როტორი“ — „კოლოსი“
ასკ რ. — „მეტალურგი“
„ზვეზდა“ — „დინამო“ ბ.
„გეოლოგი“ — „გურია“
„დინამო“ სტ. — „შინიკი“
„სპარტაკი“ — „ტავრია“
„კოტაიკი“ — „ყუბანი“

14 ივლისი, ხუთშაბათი
ცსკა — „ზარია“
„კუზბასი“ — „როსტსელმაში“

XXII ტური
16 ივლისი, შაბათი
„დაუგავა“ — „პამირი“
ასკ „კარპატი“ — „ფახთაქორი“
„როტორი“ — „მეტალურგი“
ასკ რ. — „კოლოსი“
„ზვეზდა“ — „გურია“
„გეოლოგი“ — „დინამო“ ბ.
„დინამო“ სტ. — „ტავრია“
„სპარტაკი“ — „შინიკი“
„კოტაიკი“ — „კუზბასი“

17 ივლისი, კვირა
ცსკა — „როსტსელმაში“
„ყუბანი“ — „ზარია“

21 ივლისი, ხუთშაბათი
სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები.

30 ივლისი, შაბათი
პირველი ლიგის თასი, ნახევარფინალები.

სტატისტიკა, სტატისტიკა...

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში 1970 წლიდან მოყოლებული სულ 59 გუნდი გამოდიოდა. მათგან ყველა ტურნირის მუდმივი მონაწილეა დუშანბეს „პამირი“.

ლანჩხუთის „გურიისთვის“ წლევანდელი სეზონი ლიგაში რიგით მერვეა (303 თამაში, 127 გამარჯვება, 120 დამარცხება, 56 ფრე, გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება 397:439). ბათუმის „დინამო“ I ლიგაში მონაწილეობს მეხუთედ (172 თამაში, 61 მოგება, 73 წაგება, 36 ფრე, ბურთები 182:242).

ჩვენი ფეხბურთის ცნობილმა ბომბარდირებმა დ. ყიფიანმა, რ. შენგელიამ, ვ. გაზაევმა, ა. ბანიშევსკიმ, ა. პოგორელოვმა, მ. იარცევმა, ს. ანდრეევმა, ზ. აბდურაიმოვმა, ი. ჩესნოკოვმა, ვ. გრაჩოვმა სწორედ I ლიგაში დაიწყეს თამაში.

სადღეისოდ I ლიგაში მხოლოდ 7 ფეხბურთელია, რომლებმაც ასზე მეტი ბურთი გაიტანეს: ვ. რაზდაევი („კუზბასი“) — 215, ვ. ტურსუნოვი („პამირი“) — 166, რ. შარიპოვი („მეტალურგი“) — 118, ვ. ნაუმენკო („ტავრია“) — 106, ვ. მანასიანი („პამირი“) — 105, ვ. სტარკოვი („კოლოსი“) — 101.

ამ ზღვართან მიახლოება შეუძლიათ შემდეგ ფეხბურთელებს: ვ. პიმუშინს („კუზბასი“) — 92, ა. პლომკინს (ასკ, დონის როსტოვი) — 89, ს. ადრეევს („როსტსელმაში“) — 82.

სხვათა შორის, ს. ანდრეევი ერთადერთია I ლიგის ფეხბურთელთა შორის, რომელიც გ. ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბის წევრია.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიდან გატანილი გოლების მიხედვით ასეთი მაჩვენებლებია: ვ. კოპალეიშვილი — 63, ა. გორგილაძე —54, ა. კვერნაძე — 53, ჯ. ხერხაძე —50, ვ. მეგრელაძე — 49, გ. ფრიდონაშვილი —47.

ერთ თამაშში ყველაზე მეტი გოლი (6) გატანილი აქვს ნიკოპოლელ ფეხბურთელს ა. პოგორელოვს ორჯონიკიძის „სპარტაკის“ კარში (1980 წელი).

ბათუმის „დინამოში“ მოთამაშე რ. ჩელებაძემ 1984 წელს ზუსტად გამოიყენა შეტოქეთა კარში დანიშნული ყველა 11-მეტრიანი. ეს საუკეთესო მაჩვენებელია.

I ლიგაზე ჩატარებული მატჩების რაოდენობით პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: ვ. რაზდაევი („კუზბასი“)—548 მატჩი, გ. ჩერევჩენკო („პამირი“) — 534, ჯ. ჩურკინი („შინიკი“) — 523, ბ. გავრილოვი („შინიკი“) — 529, ვ. ტურსუნოვი („პამირი“) — 488.

ჯაბა ცაბაძეიშვილი.

„მსოფლიო თასის“ გათამაშების წინ

31 მარტს ბრიუსელში დაიწყება „მსოფლიო თასის“ გათამაშება ჰადრაკში. ეს ახალი შეჯიბრება 6 ტურისგან შედგება, რომელიც 1988-1989 წლების განმავლობაში უნდა ჩატარდეს და საერთო გამარჯვებული გამოავლინოს. „მსოფლიო თასზე“ მონაწილეობისთვის დიდოსტატების საერთაშორისო ასოციაციამ შეარჩია თანამედროვეობის 25 უძლიერესი მოჭადრაკე. ყველა მათგანისთვის სავალდებულოა 6-დან 4 ტურნირში მონაწილეობა, ამასთან, ჩათვლაში შედის სამი საუკეთესო შედეგი. მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი გათამაშებაში ივნისიდან ჩაებმება.

მოგვყავს ბრიუსელის ტურნირში მონაწილე დიდოსტატების მოკლე „სადარბაზო ბარათები“.

ანატოლი კარპოვი (სსრ კავშირი) დაიბადა 1951 წელს; მსოფლიო ჩემპიონი 1975-1985 წლებში. რეიტინგი — 2715. მსოფლიო პირველობის მომავალი მეოთხედფინალური მატჩის მონაწილე. მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან ერთად ითვლება „მსოფლიო თასის“ მოპოვების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად. ზოგი მიმომხილველი კარპოვს მიიჩნევს ყველაზე უკეთეს სატურნირო მებრძოლად ჰადრაკის მთელი ისტორიის მანძილზე.

იან ტიმანი (ჰოლანდია). 1951; ამჟამად აქვს მესამე რეიტინგი მსოფლიოში — 2675. მსოფლიო პირველობის მომავალი მეოთხედფინალური მატჩის მონაწილე. ტიმანი შესანიშნავი სატურნირო მებრძოლია. საერთაშორისო შეჯიბრებებში ბევრი პირველი პრიზი აქვს მოპოვებული.

ალექსანდრე ბელიავსკი (სსრ კავშირი). 1953; 2645 (მეოთხე მაჩვენებელი მსოფლიოში). საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, პრეტენდენტთა მატჩისა და ტურნირის მონაწილე.

ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია). 1931; 2640 (მეხუთე მაჩვენებელი მსოფლიოში). „საუკუნის მატჩების“ ორგზის მონაწილე. 1962 წლიდან მონაწილეობს პრეტენდენტთა ასპარეზობებში. ორჯერ (1978 და 1981 წლებში) ითამაშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

მიხეილ ტალი (სსრ კავშირი). 1936; 2630. მსოფლიოს მერვე ჩემპიონი. პრეტენდენტთა მატჩებისა და ტურნირების მრავალგზის მონაწილე. „საუკუნის მატჩების“ ორგზის მონაწილე. ამას წინათ სენტჯონსში (კანადა) გაიმარჯვა მსოფლიო პირველობის არაოფიციალურ გათამაშებაში „ელვისებურ“ ჰადრაკში.

პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია). 1960; 2630. ბოლო წლებში საერთაშორისო ასპარეზზე დიდი წარმატებები აქვს. ეს ფრიად პერსპექტიული დიდოსტატი ამჟამად ლუბოევიჩთან ერთად იუგოსლავიის უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება.

რაფაელ ვაჟანიანი (სსრ კავშირი). 1951; 2625. მონაწილეობდა პრეტენდენტთა ტურნირსა და მატჩებში, „საუკუნის მატჩში“ (1984). გაიმარჯვა XXVI ოლიმპიადასა და მსოფლიოს I გუნდურ ჩემპიონატში. მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია.

ჯონათან სპილმენი (ინგლისი). 1956; 2625. მსოფლიო პირველობის მომავალი მეოთხედფინალური მატჩის მონაწილე. დიდი ბრიტანეთის ორგზის (1978, 1985) ჩემპიონი. ინგლისის ოლიმპიური ნაკრების წევრი (ვერცხლის მედალი დიუბაის უკანასკნელ ოლიმპიადაზე).

ჯონ ნანი (ინგლისი). 1955 2615. მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირების მონაწილე. წარმატებით თამაშობს მრავალრიცხოვან საერთაშორისო ტურნირებში, ინგლისის ოლიმპიური ნაკრების წევრი (ვერცხლის მედალი დიუბაის ოლიმპიადაში).

დიულა საქსი (უნგრეთი). 1951; 2610. საზონათშორისო ტურნირში წარმატების შემდეგ წლეულს პირველად მონაწილეობდა პრეტენდენტთა მერვედფინალურ მატჩში (დამარცხდა შორტთან). უნგრეთის ოლიმპიური ნაკრების წევრთან.

ლაიოშ პორტიში (უნგრეთი). 1937; 2610. უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონი. „საუკუნის მატჩების მონაწილე“, XXIII ოლიმპიადის გამარჯვებული. პრეტენდენტთა მატჩებისა და ტურნირის (1985) მონაწილე. მსოფლიო პირველობის მომავალი მეოთხედფინალური მატჩის მონაწილე (ხვდება ტიმანს).

ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია). 1950; 2610. იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონი, თამაშობს მეტად ძლიერად, მაგრამ არათანაბრად. შარშან, მაგალითად, გაიმარჯვა ბრიუსელისა და ბელგრადის სუპერტურნირებში, ტილბურგში კი დაიკავა... ბოლო ადგილი.

ულფ ანდერსონი (შვეცია). 1951; 2605. წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში. წლეულს მეორე იყო ვეიკ-ან-ზეეში კარპოვის შემდეგ. უკანასკნელ „საუკუნის მატჩში“ (1984) ხელმძღვანელობდა „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებს. შვეციის ოლიმპიური ნაკრების ლიდერია.

ანდრეი სოკოლოვი (სსრ კავშირი). 1963; 2595. სსრ კავშირის ჩემპიონი (1984); მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუკებს შორის (1982). XXV! და XXVII ოლიმპიადებში გამარჯვებული, მსოფლიოს I გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული. პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩის მონაწილე (წააგო კარპოვთან).

ვალერი სალოვი (სსრ კავშირი). 1964; 2595. სსრ კავშირის 1987 წლის ჩემპიონატის შეორე პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატებს შორის (1986), ევროპის ჩემპიონი ჰაბუკებს შორის (1982 და 1983 წლებში), მსოფლიოს ჰაბუკთა ვიცე-ჩემპიონი (1983). შარშან პირველად მონაწილეობდა საზონათშორისო ტურნირში, საიდანაც პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მიიღო (დამარცხდა ტიმანთან).

იასერ სეირავანი (აშშ). 1960; 2595. აშშ-ის ორგზის ჩემპიონი (1983 და 1987 წლებში), მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუკებს შორის (1979), „საუკუნის მატჩის“ (1984) მონაწილე. ამჟამად ითვლება აშშ-ის № 1 მოჭადრაკედ და ოლიმპიური ნაკრების ლიდერად. იანვარში მონაწილეობდა პრეტენდენტთა მერვედფინალურ მატჩში (დამარცხდა სპილმენთან).

ხესუს ნოგეირასი (კუბა). 1959; 2560. მონაწილეობდა მონპელიეს (1985) პრეტენდენტთა ტურნირში. კუბის № 1 მოჭადრაკე და ოლიმპიური ნაკრების ლიდერი. მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი.

ამ 17 დიდოსტატის გარდა ბრიუსელში, გამონაკლისის სახით, გამოვა ახალგაზრდა ბელგიელი საერთაშორისო ოსტატი ლუკ ვინანტსი, რომელიც, ცხადია, დიდოსტატების საერთაშორისო ასოციაციის წევრი არ არის. ბელგიელი ორგანიზატორები მას, ასე ვთქვათ, „კვალიფიკაციის ამაღლების“ მიზნით უშვებენ შეჯიბრებაში.

16 გამარჯვებული და პრიზიორი

(დასასრული)

ველოს ნაკრების წევრმა ვაჟა არუთუნოვმა და უნგრელმა ლასლო ფიოლდვარიმ.

რაც შეეხება 68 კგ წონით კატეგორიას, აქ ფინალი ჩვენი ნაკრების წევრებმა გაითამაშეს — გიორგი კირაკოზაშვილი შეხვდა ალექსეი პროხოჟაევს. კირაკოზაშვილმა უფრო კარგი მომზადება გამოამჟღავნა, წუთსა და 27 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ბრინჯაოს მედლები ერგოთ მარკ გორბუნოვს (რსფსრ) და იტიფენ რომელს (გფრ).

გულშემატკივრები არ გაუწბილა ვასილ ომარაშვილმა (75 კგ), რომელმაც ჯერ მოსკოველი არტემენკოვი დაამარცხა, შემდეგ — გერმანელი შპიტკა, ფინალში კი ლატვიელ ორთაბრძოლაში დასავლეთ გერმანელ პეერ შმიდტს სძლია.

ტურნირის ბოლო დღეს საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი ოქროს მედალი მოუტანა 57 კგ წონაში მოასპარეზე არჩილ ჩოხელმა, რომელმაც ფინალში საკავშირო ნაკრების წევრს ადხამ დჟამალოვს ჯობა. ბრინჯაოს მედალი ბაშირ კამურზაევთან (სსრკ) ერთად დაისაკუთრა ბესიკ ბუჩაშვილმა.

ორი ბრინჯაოს მედალი ხვდათ ქართველ ძიუდოისტებს 53 კგ წონით კატეგორიაში. ესენი არიან — შამუკა აბრამიშვილი და ბადრი დილებაშვილი, ფინალში საკავშირო ნაკრების წევრები ძმები გენადი და სერგეი ჩერნუხინები შეხვდნენ ერთმანეთს: გამარჯვება გენადი ჩერნუხინს ხვდა.

მჩატე (49 კგ) წონაში დიმიტრი ბოლშაკოვმა ფინალში მოუგო გოგიტა მანთაშაშვილს, ბრინჯაო კი ზვიად საღირაშვილმა მოიპოვა ბულგარელ პიოტრ ალექსიევთან ერთად.

საქართველოს ნაკრებმა საგრთაშორისო ტურნირში სულ 5 ოქროს, 3 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. ეს საკმაოდ მაღალი შედეგია და ჰაბუკთა II საკავშირო თამაშებში კარგი გამოსვლის იმედს გვისახავს.

ალექსანდრე ჯიბლაძე.

ჭადრაკი — ქვიშხეთი



კი ბისკეინი (აშშ). „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებული ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი შვედმა მათს ვილანდერმა მოიგო. ფინალში მან ჯიმი კონორსი (აშშ) დაამარცხა — 6:4, 4:6, 6:4, 6:4.

როვანიემი (ფინეთი). დამთავრდა მოთხილამურე ქალთა მსოფლიო თასის გათამაშება. ამ მრავალეტაპიან შეჯიბრებაში გამარჯვებულთა საძეული ასე გამოიყურება: 1. მარიო მატიკაინენი (ფინეთი) — 107 ქულა, 2. მარი-ჰელენ ვესტინი (შვეცია) — 92 ქულა, 3. მარიაილისა კირვესნიემი (ფინეთი) — — 82 ქულა.

პარიზი. მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატში ოქროს მედალი 24 წლის მოსკოველმა ფლიურა ბულატოვამ მოიპოვა. მეორე უმაღლესი ჯილდო ბულატოვამ ხარკოველ ელენე კოვტუნთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაში დაიმსახურა. ვაჟთა შორის ჩემპიონი მიკაელ აპელგრენი (შვეცია) გახდა. გორკელმა ანდრეი მაზუნოვმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. სულ საბჭოთა ჩოგბურთელებს ამ ჩემპიონატში ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო ხვდათ.

ბუდაპეშტი. ფიგურისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ქალთა შორის გამარჯვება კატარინა ვიტმა (გფრ) მოიპოვა. მომდევნო ადგილები ელიზაბეტ მენლიმ (კანადა) და დები თომასმა (აშშ) დაისაკუთრეს. სვერდლოვსკელი ნატალია ლებედევა მეცხრე ადგილზე გავიდა, კიეველი ნატალია გორბენკო კი მეოთხეზე. კატარინა ვიტმა ამით დაამთავრა თავისი სპორტული კარიერა.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მე-12 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 6 ნომერი არავის გამოუცნია. 5 ნომერი (109) — 353 მანეთი, 4 ნომერი (4.267) — 20 მანეთი, 3 ნომერი (58.737) — 3 მანეთი.

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 ნომერი (36) — 10.000 მანეთი, 4 ნომერი (3.909) — 255 მანეთი, 3 ნომერი (169.282) — 10 მანეთი.

• • •

მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-13 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 18 (მძლეოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 39 (ბადმინტონი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 19 (თხილამურებით რბოლა), 23 (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 33 (ფეხბურთი).

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 29 მარტი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.10 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 29 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). 28 მარტის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი — **22.50;** სპორტული პროგრამა — **23.40.**



„სელტიქსის“ ორი დამარცხება

ნბა-ს ჩემპიონატის განვლილ ტურებს გუნდების სატურნირო მდგომარეობაში რაიმე სერიოზული კორექტივები არ შეუტანიათ. **ატლანტიის ოკეანის დივიზიონს** კვლავ ლიდერობს „ბოსტონ სელტიქსი“ (38 გამარჯვება) „ფილადელფია 76“ (22), შემდეგ არიან „ნიუ-იორკ ნიკერსბოკერსი“ (20), „ვაშინგტონ ბულსი“ (19), „ნიუ-ჯერსი ნეთსი“ (12), **სენტრალ:** „ატალანტა ჰოუქსი“ (34), „დეტროიტ პისტონსი“ (33), „ჩიკაგო ბულსი“ (31), „ინდიანა პეიზერსი“ (28), „მილუოკი ბაქსი“ (28), „კლივლენდ კავალიერსი“ (28). **შუა დასავლეთი:** „დალას მავერიქსი“ (35), „ჰიუსტონ როკეტსი“ (31), „დენვერ ნაგითსი“ (31), „იუტაჰ ჯაზი“ (27), „სან-ანტონიო სპურსი“ (20), „საკრამენტო კინგსი“ (16). **წყნარი ოკეანე:** „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ (43), „პორტლენდ თრეილ ბლეიზი“ (31), „სიეტლ სუპერსონიქსი“ (27), „ფინიქს სანზი“ (16), „გოლდენ შტატ უორიორისი“ (14), „ლოს-ანჯელეს კლიპერსი“ (11).

აი, ერთ-ერთი ბოლო ტურის შედეგები: პორტლენდი-ნიუ-ჯერსი — 114:102, ატალანტა — ინდიანა — 131:111, ნიუ-იორკი — მილუოკი 89:87, ჩიკაგო — სიეტლი — 104:97, დეტროიტი — საკრამენტო — 121:105, „ლეიკერსი“ — ვაშინგტონი — 111:100, ბოსტონი— „ჰორტლენდი“ — 113:112, მილუოკი — ინდიანა — 97:94, დალასი — კლივლენდი — 93:89, სან-ანტონიო — ფილადელფია — 123:121, დენვერი — იუტაჰი — 123:120, დეტროიტი — გოლდენ შტატი — 107:93.

ამ ტურის ცენტრალური მატჩი იყო „ბოსტონ სელტიქსისა“ და „პორტლენტ თრეილ ბლეიზის“ შეხვედრა ბოსტონში. ამ თამაშს გულშემატკივრების იმედები არ გაუწბილებია და, როგორც ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მატჩის ნამდვილი გმირი იყო ლარი ბიორდი, რომელმაც გუნდს შესძინა 44 ქულა. 11-ჯერ დაეუფლა ფარიდან ახლეტილ ბურთს და გააკეთა 8 საგოლე გადაცემა. პორტლენდის კალათში გადამწყვეტი ბურთი ბოსტონის მოთამაშე დენის ჯონსონმა 42 წამით ადრე ჩააგდო და თავის გუნდს ძალზე ძნელი გამარჯვება მოუტანა.

წინა ტურის შეხვედრებიდან, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს „ბოსტონ სელტიქსის“ ორი დამარცხება. პროფესიული კალათბურთის გრანდების „ლოს-ენჯელეს ლეიკერსის“ და „ბოსტონ სელტიქსის“ შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა ნბა-ს ცხოვრებაში. ბაირონ სკოტის (38 ქულა) ჩინებული თამაშის წყალობით „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ შეძლო მთავარი კონკურენტის დამარცხება — 115:106.

დენვერთან „ბოსტონ სელტიქსის“ დამარცხება ნბა-ს ჩემპიონატის ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, პირველ რიგში, ეს იმით აიხსნება, რომ დენვერმა შეძლო ლარი ბიორდის ნეიტრალიზება. ალექ ინგლიშის (37 ქულა) და ბრაიან რასმუსენის (34) ზუსტი სროლების შედეგად დენვერმა მეტად საპატიო გამარჯვება მოიპოვა — 138:125. ერთგვარი მოულოდნელობა იყო ლიდერის ატალანტას დამარცხება აუტსაიდერთან საკრამენტოსთან — 115:118. ატალანტას ამჯერად ვერ უშველა დომინიკ უილკინსის (51 ქულა) შედეგიანობამ. პორტლენდმა სძლია „ლოს-ანჯელეს კლიპერსს“ — 110:96. თავი გამოიჩინა კლოდ დრექსლერმა (41 ქულა).

მერაბ კალანდაძე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო 13-დან 28 მაისამდე გთავაზობთ მოგზაურობას ტურისტული მატარებლით „თბილისი“.

მარშრუტი: თბილისი — როსტოვი — ვორონეჟი — რიაზანი — კოსტრომა — იაროსლავი — ნოვგოროდი — ლენინგრადი — პეტროზავოდსკი — მურმანსკი — ლენინგრადი — თბილისი.

საგზურის ღირებულება 200 მანეთია.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა კუპირებული ვაგონებით, სამჯერადი კვება და ექსკურსიო მომსახურება.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება და საგზურების შეძენა შეგიძლიათ საგზურების რეალიზაციის განყოფილებაში. საგზურები იყიდება ნაღდი ანგარიშით და გადარიცხვით.

ჩვენი მისამართია: მეტეხის აღმართი № 4, ტელ. 74-40-67.

ბედნიერ მოგზაურობას გისურვებთ, მეგობრებო!

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ზოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05267